



# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-31.31210859

თარიღი:26/03/2021

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №20

2021 წლის 26 მარტი

ქ. ლანჩხუთი

### ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვიმბალაურში არსებული სკვერისთვის ჯამბულათ ხოფერიას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ მე-10 მუხლის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების შესაბამისად,

**მუხლი 1.** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვიმბალაურში არსებულ სკვერს მიენიჭოს 1993 წელს აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულის, ჯამბულათ ხოფერიას სახელი თანდართული რუკის თანახმად.

**მუხლი 2.** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, ერთი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი



